8
1960



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის ფოსტა

ნიანგი სისტემატურად ღებულობს წერილებს გამოქვეყნებულ ფელეტონებსა და კარიკატურებზე. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი დროულად ეხმაურება კრიტიკულ გამოსვლებს, ოპერატიულად სახავს ღონისძიებებს და ნიანგსაც დაუყოვნებლივ უგზავნის პასუხს მიღებული ზომების შესახებ. მაგრამ არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც დუმილით უვლიან გვერდს გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს. ალბათ, მათ ჰგონიათ, ნიანგი ყველაფერს როგორ გაიხსენებსო და თავს არიდებენ პასუხის გამოგზავნას. ასეთი მუშაკების დუმილს ნიანგი დუმილით ვერ აუვლის გვერდს და მალე სათანადოდ მოიხსენიებს მათ პასუხის დაგვიანების სტაჟის მიხედვით.

ახლა კი ნიანგს სურს მკითხველებს აცნობოს, თუ რა ბედი ეწია 1959 წელს დაბეჭდილ ზოგიერთ კრიტიკულ ფელეტონსა და წერილს.

იმის მიხედვით, რასაც გვწერენ

გასული წლის აგვისტოში ნიანგმა თავის მე-16 ნომერში დაბეჭდა ღია წერილი ახმეტის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ალ. გოდერძიშვილის სახელზე. წერილში ლაპარაკი იყო რაიონის სავაჭრო ქსელში არსებულ უმსგავსოებათა შესახებ.

ამ ერთ წერილზე ნიანგმა სამი პასუხი მიიღო: საქართველოს კ პ ახმეტის რაიკომისაგან, ცეკავშირისა და რაიკოოპკავშირის გამგეობისაგან.

რაიკომის წერილში აღნიშნულია, რომ ნიანგის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები. ასე, მაგალითად, სამუშაოდან მოიხსნა ახმეტის № 1 სასადილოს გამგე გ. თუნაური, ამავე სასადილოს მებუფეტე ა. კირაკოზოვი და მზარეული ვ. ავეტიკოვი; № 2 სასადილოს მებუფეტე ს. კაკაშვილი; მათი პასუხის მიხედვით, სამუშაოდან მოიხსნა აგრეთვე სოფელ ხორხლის კოლმეურნეობის მაღაზიის ნოქარი მ. მრელაშვილი. წერილში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული სასჯელი დაედო სავაჭრო ქსელის ოთხ სხვა მუშაკს.

ნიანგს ხელთ აქვს ოფიციალური დოკუმენტები და ვერ დაუჯერებს ხმებს, თითქოს, როგორც შეუცვლელი პიროვნება, გ. თუნაური დიდხანს კვლავ მუშაობდა ახმეტის № 1 სასადილოში, ხოლო მ. მრელაშვილი, რომელმაც ორი პირი ტყავი გააძრო ხორხელ კოლმეურნეებს, ბოროტ ენების მიხედვით, ამჟამად მომმარაგებლად მუშაობს და, ცხადია, არავის უნდა გაუკვირდეს, რომ პირველ რიგში თავისი თავი მოამარაგოს. ორაგული მორევში გადააგდესო, ამაზეა ნათქვამი. საქმე ის არის, რომ ნიანგი ყურმოკრულ ამბებს ვერ დაუჯერებს, ისე კი ადგილზე ინახულებს ახმეტელ «გმირებს» და არ მოაკლებს თავის ლოცვა-კურთხევას.

ნიანგი არ ეთანხმება

თელავის საკოლმეურნეო ბაზარში სპეკულანტების «მოღვაწეობას» ეხებოდა ნიანგის მე-18 ნომერში დაბეჭდილი წერილი «ჩემი აღსარება».

ამ საკითხზე თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალ. ბატიაშვილი გვწერს: «გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ მიეცა მითითება საკოლმეურნეო ბაზრის დირექციას აეკრძალა ბაზარზე კოლმეურნეების მიერ შემოტანილი ყველის გაყიდვა. ამჟამად კოლწევრებიდან მოტანილი ყველის გაყიდვას საკოლმეურნეო ბაზარზე აწარმოებს რაიკოოპკავშირის საკომისიო მაღაზიები».

ნიანგი არ ეთანხმება ასეთ ღონისძიებას. განა შეიძლება სპეკულანტებს იმით ვებრძოლოთ, რომ კოლმეურნეებს ავუკრძალოთ თავიანთ საკოლმეურნეო ბაზარში ვაჭრობა?!

პასუხები და დაპირებები

ნიანგმა თავის 22-ე ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებზე სამი სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიიღო პასუხი. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ამხ. კ. ქავთარაძე გვწერს, რომ ფაქტები, რომლებიც მოყვანილია წერილებში «ვინ წაიკითხავს», «ბარათი ნიანგს» და «ძვირფასო ნიანგო» მთლიანად დადასტურდა. ქ. სევასტოპოლიდან წნორში ზ. ბენაშვილის სახელზე გამოგზავნილი დეპეშის შეუმოწმებლად და დამახინჯებული სახით გაშვებისათვის კავშირგაბმულობის წნორის განყოფილების ტელეგრაფისტს ლ. ბეჟანიშვილს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი. ადმინისტრაციული სასჯელი დაედო აგრეთვე თბილისის კავშირგაბმულობის მეოთხე განყოფილების ექსპედიტორს ე. ოსიპოვას, რომელმაც არ მიიღო საჭირო ზომები, რომ დროულად ჩაებარებიათ მოქალაქე რ. მეტრეველისთვის მის სახელზე მიღებული დეპეშა.

წერილზე «საყვარელო ნიანგო» დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ სოფელ კიტოხის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის რემონტი ჩატარდება 1960 წლის მეორე კვარტალში. რაისაბჭოს მუშაკთა აზრით, კიტოხელ მასწავლებლებს მანამდე ეს დაპირებაც გაათბობთ წვიმა-თოვლის დროს, ხოლო ივნისის თვეში, როცა სიცხეები დაიწყება, თუ დაპირება არ დაავიწყდათ, ალბათ, სახლსაც შეაკეთებენ.

მკითხველებს ახსოვთ ამავე ნომერში დაბეჭდილი ფოტოდოკუმენტი, სადაც ასახულია სურამის მატარებლიდან მგზავრების გადასვლა თბილისის ბაქანზე ახალი მეთოდით — ფანჯრების მაქსიმალური გამოყენების გზით. ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამსახურის უფროსი ამხ. ა. ჭიპაშვილი გვატყობინებს, რომ მიღებულია საჭირო ზომები, რათა მომავალში არ გა მეორდეს ასეთი ფაქტები.

რჩევა-დარიგების შედეგი

ნიანგმა თავის ჟურნალის 23-ე ნომერში დაბეჭდა წერილი «რჩევა-დარიგება გეოლოგიური სამმართველოს მუშაკს ამხ. გურამ ბეჟუაშვილს». თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საერთო განყოფილების მუშაკი ნ. გოგიაშვილი, რომლის წერილის ფოტოასლს უკვე იცნობენ მკითხველები, სამსახურებრივი მოვალეობის გულგრილად შესრულებისათვის და მოქ. გ. ბეჟუაშვილისათვის შეუფერებელი პასუხის თვითნებურად გაგზავნისათვის, განთავისუფლებულია სამუშაოდან.

თქვენი ნიანგი

ნახ. ა. კანდელაკიხა

— ხორცს რომ არ ჭრის, ერთი ამ დანის მოვალეობა გამაგებინე თუ კაცი ხარ!

— მაგის მოვალეობაა, მაგიდიდან რომ გადმოვარდება, სტუმარი მოდისო, უნდა თქვათ, ბატონო.

მიეცეს ნიჭსა გზა ფართო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობოქარი და დაუდგრომელი ცხოვრება აქვს მიხეილ ჩიგოგიძეს. ხშირად იტყვის—აღელვებული და ნერვებაშლილი ვარო.

ბობოქარ ცხოვრებას მრავალგზის გამიჯნურებული დონ ჟუანი და ჩხუბისთავი ტარიელ მკლავაძეც ეწეოდა, მაგრამ ორივე მაგარი ნერვების პატრონი იყო. და, თუ მიხეილი გამონაკლისია, ეს იმის გამო, რომ მოწყალე ბუნებამ მისი სახით დონ ჟუანი და მკლავაძე ერთად გვაჩუქა.

რა სახის ფათერაკს იტყვით, რომ მიხეილს თავს არ გადახდენოდეს. ჯერ იყო და 1939 წელს ისეთ საიდუმლო საბუთში ჩაიჭყიტა, რომ კინაღამ თვალები აეწვა, მაგრამ ზურგის აწვა ამჯობინეს და მცხეთის რკინიგზის სადგურის უფროსობიდან კასპში მწონავად ჩამოაყენეს. 25 დღის შემდეგ ამა ქვეყნის ზოგიერთ «ძლიერთა» შემწეობით ხაშურში დისპეტჩერად დააწინაურეს, მერე ორი წლით ისევ მცხეთას მოუვლინეს. მერე აქედან თბილისში გადაისროლეს და 1946 წელს მთლად გამოუზაფხულეს—ისევ მცხეთაში დაუბრუნეს უფროსად. ამგვარი გამოზაფხულება უმეტესად გამოფხიზლებას იწვევს, მაგრამ კარგი ნიშანი ყოფაქცევაში ზოგ მოსწავლეს თავბრუს ახვევს. მიხეილსაც თავბრუ დაეხვა, ეს სადგური ჩემი ყოფილაო, თქვა, მწონავი არტაშა სოლოღაშვილი ფეხქვეშ გაიგდო და იმდენი ურტყა წიხლი, სანამ სულ რაღაც სამი ნეკნი არ ჩაუმტვრია. ვეღარაფერი უშველიდა მიხეილს, რომ ცრუმოწმე ტატე ბერიკაშვილს და ისევ რკინიგზის სამმართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას არ ეშველა. ამას რომ მორჩა, ასანთის ფაბრიკის ხელმძღვანელებს დატვირთული ვაგონი წაართვა და პარტიული სასჯელი დაიმსახურა. ასეთი პატარა გმირობისათვის ამოდენა სასჯელი ვის გაუგონიაო, თქვა მიხეილმა და გაბალანსებისათვის რესტორნის დირექტორს გიორგი ბოლქვაძეს ხეთქა ყბაში. ამასაც რომ მორჩა, ალექსანდრა კახაძეს მიეჭრა სახლში და ისეთი სილა გაჰკრა, ქალს ორმაგმა ალმურმა აჰკრა—სირცხვილისა და ტკივილისამ.

მოდი და ამდენი ფათერაკების გადამკიდე მიხეილს ჰკითხე, ნერვებაშლილი რატომ ხარო? რა საკითხავია, თუ ვინმემ აღელვების მიზეზიც არ ჰკითხა. ამ კითხვაზე მიხეილი მორცხვობს, მაგრამ უნდა გავცეთ: ღმერთმა მიხეილის სატანჯავად ქალი გააჩინა და ისიც ისე ვერ ჩაუვლის ბანოვანს, რომ არ აღელდეს. პირველი მღელვარება მიხეილმა მარგალიტა ჭავჭანიძისაგან განიცადა. და როცა სახალხოდ მარცხი განიცადა, ქალს შინ მარტოდმარტო მიეჭრა ღამით. იფრინა მარგალიტამ გამიჯნურებული რაინდი, აფორიაქდა სადგური და აღელდა მიხეილი: ქალს მტრად გადაეკიდა და მოსვენებით ცხოვრების სახსარი წაართვა.

ნომერ მეორე მიჯნურად მიხეილმა მელანია მანჯავიძე აირჩია. როცა მელანიას ქმარი ფრონტზე იბრძოდა, მიხეილი აქ მელანიას უმიჯნურდებოდა. ჯერ ჭორი გაუვრცელა, შ. ბლუაშვილს ეტრფისო, მერე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ზედ ბაქანზე თვითონ აუხსნა სიყვარული. როცა ამით მელანია ვერ ააღელვა, მიხეილი აღელდა ზღვასავით. მრავალგზის დააძგერა ქალს სიყვარულის ტალღა; მიგრამ ვერ იქნა და ამურის ისარი ვერ მოახვედრა. სამაგიეროდ მუქარა შეასრულა და იმას მიაღწია, რომ ვაგზლის დიქტორობიდან გაანთავისუფლა, თავათ დიქტორის ჯიხურში ჩასაფრდა და იქიდან დღით და ღამით ევგენია კახაძის კიბეს უთვალთვალებდა—იქნებ ვანო ღვინიანიძეს წავასწრო, როცა ამ კიბით ევგენიასთან შეიპარებაო. ამაოდ «იმორიგა» მიხეილმა, ამაოდ გატეხა ღამეები. მაშინ მაღრაძეების ოჯახში პანიკა გამართა—არიქა, წამომყევით, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ავიდა ივანე ევგენიასთან და მოტრფიალეებს თავათ ივანეს ცოლმა თამარმა მიუსწროო. მოჩვენებებს აყოლილი მიჯნური დაამშვიდეს, ვანო თავის სახლშია, თამარიც იქ არის და ევგენიასთან მისვლა არც უფიქრიათო. რაკი ჭორმა ამჯერადაც არ გაჭრა და კოზი ნაცარში ჩავარდა, მიხეილმა გადაწყვიტა, ·ახლა კი თვალებში ნაცარს ჩავაყრი ჩემს მტრებსო და შავი საქმის გასაკეთებლად ევგენიას შვილს ელგუჯას თავისი შვილები ვაჟა და ელდარი მიუგზავნა. ამათაც უბოდიშოდ მიახალეს—დედაშენი ვანოს გამიჯნურებიაო. შხამმა იმოქმედა და ელგუჯა თავის კარებთან ალესილი ნაჯახით დაელოდა ვანოს. საბედნიეროდ ვანო ღვინიანიძეს ევგენიასთან კი არა, მის მეზობლებთან მისვლაც არ უფიქრია. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ვანო ერთ-ერთ მეზობელთან მისულიყო. მაშინ ის საბედისწერო ნაჯახი კიბეზე თავის საზარელ საქმეს გააკეთებდა და ამით მიხეილს რა შეემატებოდა, ეს თვითონ მიხეილს ეკითხოს.

ამითაც რომ არაფერი გამოვიდა, ელდარმა უფრო ძლიერი შხამი ჩააწვეთა ელგუჯას—დედაშენი მარტო ღვინიანიძის კი არა, მამაჩემის საყვარელიც არისო და... აირია ოჯახი. პატარაობაშივე დაობლებული, წვითა და დაგვით გაზრდილი შვილები, რომელთაგან ევგენიამ ერთი ექიმი გამოზარდა, ხოლო მეორე—ინჟინერი, გაუდგნენ დედას და ისევ მათს გონივრულობას ვუმადლოდეთ, რომ ოჯახი ტრაგედიას გადაურჩა.

მაგრამ მიხეილი ვერ გადარჩა ძველ სენს—სხვის საქმეში ხელის ფათურს, და, ცალკე იმისაგან გაბრაზებულმა, როგორ ყველაფერში ფეხი მიცდებაო, მცხეთის სადგურს უფრო ღვარძლიანი ჭორი მოფინა—ივანეს და ევგენიას ხელს როგორ აფარებთ, თავათ ივანე ღვინიანიძის ცოლი თამარიც ჩემი საყვარელიაო.

ზის ახლა მიჯნურობაში ხელმოცარული დონ ჟუანი და მცხეთის სადგურს ხელმძღვანელობს. მაგრამ ხელი თუ არ გაქვს, რით უხელმძღვანელებ? ამიტომ მიხეილს მარჯვენა ხელად არაოფიციალური მოადგილე ბიჭიკო კალანდაძე ჰყავს, რომელიც დღედაღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რით ასიამოვნოს უფროსს.

შეხმატკბილებული მუშაობის შედეგად შარშან, 24 სექტემბერს, კალანდაძემ ურიკა გაუშვა მცხეთიდან. გაუშვა და იმის თქმა დაავიწყდა, ზაჰესთან ხაზზე ლეიტერი რომ მუშაობდა. ურქინა ურიკამ ლეიტერს, გადააყირავა და ლიანდაგიდან გადააგდო. ამაზე ვინ რას ეტყოდა მიხეილს, ურიკა მისმა მოადგილემ გაუშვა, მაგრამ კინაღამ მარჯვენა მოაცალეს. მერე დიდი ხათრით აპატიეს კალანდაძეს, როგორც პირველი ცოდვა და სასტიკი საყვედური აკმარეს. ვინ იცოდა, რომ კალანდაძემ პირველად შარშან 30 იანვარს შესცოდა, როცა ამკრეფი მატარებელი ღვინის კასრებით დატვირთულ ვაგონებს ჩიხში დაეჯახა, ათი კასრი დალეწა, ღვინო დააქცია, წინ მდგარი გონდოლა ბურთივით გაისროლა და ასანთის ფაბრიკის სიახლოვეს რელსებში ჩაჩხირა. ამაზე, თქვენც სუ და მეც სუო, შეეხვეწა კალანდაძე რკინიგზელებს, გონდოლა რა მანქანით ამოათრია, არავინ იცის, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ რაღაც მანქანებით ეს შემთხვევა რკინიგზის ხელმძღვანელობისაგან დაფარულია. ისიც დაიფარა, რომ ავარიაში მოხვედრილი ვაგონი № 707836 ბიჭიკომ ისევ ღვინით დატვირთა და მოსკოვისაკენ გაამგზავრა. ვერც ამაზე შეედავებიან მიხეილს, ის იმ დღეს შვებულებაში იმყოფებოდა, მაგრამ იმასაც ხომ ვერ დაფარავს, გზის ხელმძღვანელობამ ორ-სამჯერ ბრძანებით საყვედური რომ გამოუცხადა «მისდამი რწმუნებულ» სადგურში შრომის დისციპლინის შესუსტებისათვის.

სხვა მხრივ სიწყნარეა სადგურში. ეს იმასაც მიეწერება, რომ მეზობელთა უმრავლესობა დუმს, რადგან ამ უმრავლესობას ან ჩიგოგიძე არ სცემს ხმას, ან ჩიგოგიძეს არ სცემენ ხმას. მეზობლები რომ ერთმანეთს იცნობენ, მხოლოდ იმით შეამჩნევთ, რომ გვერდზე გავლისას ერთიმეორეს გადაუბღვერენ. მხოლოდ გასული წლის ცხრა დეკემბრის ღამეს ერთხელ კიდევ გამოცოცხლდა სადგური, როცა სადისპეტჩეროში მორიგე ნატროშვილმა და მიხეილის შვილმა ვაჟამ ცემით გონება დააკარგვინეს ლევან სულავას, მის ამხანაგს ოთარ ჯელიას კი ცხვირის ძვლები დაულეწეს.

რას იზამ, კვიცი გვარზე ხტის!

მცხეთელების აზრით, ისეთი დიდი გაქანების კაცი, როგორიც მიხეილ ჩიგოგიძეა, ცოდვაა ასეთ პატარა სადგურში მოღვაწეობდეს, სადაც არც ქალებია საკმარისი სიყვარულის ასახსნელად და აღარც კაცები დარჩა ცხვირპირჩასალეწი.

მიეცეს ნიჭსა გზა ფართო!

გ. ჯამბაკური

— ჩემ გოგონას უკვირს და ხშირად მეკითხება, დედიკო, თოვლი ხან შავია, ხან თეთრიო?

წიგნის ფურცლებიდან

ამ თოთხმეტი წლის წინ თიანეთის რაიონის სოფ. ახალსოფელში ზეიმითა და ზათქით ჩაეყარა საძირკველი ამ სურათზე აღბეჭდილ კულტურულ ძეგლთა ორ ნანგრევს.

ადგილობრივ მკვიდრთ ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ პირველ სურათზე აღბეჭდილ ნანგრევს აბანო ერქვა, მეორეს — კლუბი, თუმცა კლუბი არასოდეს კლუბობდა, ხოლო აბანოს კიდევებს შორის დაჟანგულ ავზს წვიმის წვეთების გარდა სხვა წყალი არ ღირსებია. ამბობენ, არც არის საჭიროო, რადგან ორივე ამ ხარვეზს ღირსეულად ავსებს სოფლის დასაწყისში გზის ორივე მხარეზე გადაწოლილი ფართო და ღრმა ჭაობი, რომელშიც ზაფხულობით ბაყაყები მართავენ კონცერტს და კლუბის მოვალეობას ასრულებენ, ტბა კი მოსახლეობას ზამთარ-ზაფხულ უწევს მომსახურებას ზიგ ჭუუმბალობის დარგში.

ვინაიდან ამ თოთხმეტი წლის მანძილზე ერთიმეორეს მიყოლებით გამოცვლილ სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის ზეიდ-ზეიდ თავმჯდომარეთაგან ჭაობში ჯერ არცერთი არ ჩაჯარდნილა, ამიტომ არც აბანო დასჭირდებით. სოფელს რომ აბანო და კლუბი სჭირდება, ამ საკითხს განხილვა უნდა, მაგრამ კლუბი „ჯერ-ჯერობით“ არ დამთავრებულა და საკითხი სად განიხილონ?!

ჭეშმარიტად ანგარიშგასაწევი მიზეზია, თუ, რა თქმა უნდა, ეს მიზეზი იმის მიზეზი არ გახდება, რომ რაიონში ვინმეს ცხელ აბანოს მოუწყობენ.

ჯვრის ბაკვრა

ზ ი ნ დ ა

რა ხანია მინდა
მოსყოფური ზინდა,
მაგრამ მასზე ფიქრი
წყლის ნაყვა ზინდა.

გადმოკაკვიანი

ქალამში ფერად-ფერადნი,
ტანა თითო და ოროლა,
სერეკი მესხის ქეზიდან
გადამლერიან სოლოლაკს.

შესვენებაზე

შესვენება.
ხელქვეითმა
დაამატოა,
...შექმეოდა.

სამსახურის გამოსვლისას

ავტობუსში ჯდილითა,
ტრამვაიში ზრიალი,
«მეკრავეებში» მონათალული
ღილები ბზრიალ-ბზრიალი.

ზაკრო დვალიძე

ნახ. ნ. მალაზონიახი

მახარაძის რაიონის პოფელ ძიმითის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ს. მუხაშავრია.) ახლახან საკუთარი სახსრებით მდინარე ხუფსაზე აიგო ხიდი, რომელიც 3,5 მილიონი მანეთი დაჯდა. ახალი ხიდი მოკლე და მოხერხებული გზით აკავშირებს ჩოხატაურის, მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებს.

— ყარამან ჩემო, მაი ხიდი რომ ყოფილიყო აქანე, მე რომ ცოლი მოვიყვანე გალმა ხოფლიდან, ნეფე-დედოფალსა და მაყრებს ხუფსის წყალში ხომ აღარ მოგვიხდებოდა გამოტოპვა!

ბ ე ნ ზ ი ა ნ ი

(ი ს ა ი ზ ი)

როგორც ყოველ შვილიშვილს, მეც მეჩიდა უფლება მყოლოდა ორი ბაბუა და ამდენივე ბებია. ამ ტრადიციული ოთხეულიდან მხოლოდ ერთი ბებია დამიხვდა ამ ქვეყანაზე. იგი მეტად ორიგინალური. ჩვენ ერთად დაეიწყეთ «დედა-ენის» სწავლა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბებია სულაც ძალით არ დაყავდათ და ორიანებსაც არაგინ უწერდა.

ბებიას ძალიან შეუეყვარდა სასიყვარულო რომანების კითხვა. ხშირად უთქვამს: ამ დროს ჩემი ქალიშვილთან ბაკვრებზაო. მაგრამ, კონკრეტულად, რა მოინენგბენ ბაკვრები, ამაზე დუმდა.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად მას სათაკი მეხსიერება გააჩნდა. იმასაც კი მოგონებდა. ნიკოლოზის დროს ქალთა ჯირმა ცხონებულ დედამისს რამდენი დედალი გაუწყვიტა.

აღფრთოვანებული ვიყავით მისი ნიჭიერებით. მე ცდებსაც ვაკეთებდი: მოთაყლუნდი რიგე ეორს, ჩაეწერდი და კეირისთაკენ ბავამორეხნებდი. ლეტალ კინემატოგრაფიულად მისდევდა ლეტალს.

მაგრამ, ბებია ოერმე სხვა რამეებსაც იმახსოვრებდა! ერთხელ დედაჩემს ეესაყვედურა: ამ ოეთი წლის წინ, აი აქ, ამ კარადასთან, ქოფაკი მოიხარო და ეს ჩემი ბუღლიანაო. მაგრამ ბოიაკონა: ვახსოვს, შენ რომ ჩემთვის ოკონის საკარაქლის ეოდვა დაგენანაო.

განსაკუთრებით მე ამომიალი ნიშანები. ხშირად მახსენებდა, რამდენჯერ ჩამიყვანა ბინერი ბელი კაკალის მორაბამი, ანდა, რამდენჯერ ეეხსაცმელებინაცად დაეწოლილვარ ვახეიქალი მთერანი.

ასე ეარეკიშობდა ბებია და გეეუბნიდი, რომ მისი ნათელი ეოოუბა შსეკავსი ეწერილანენბენ ია ბადატერიოლი.

დაიბადებოლაბა მალე შენელდა. ერთხელ, იეოონ, ეეოონ ჩემი «ეუმსეკავსო საქეიელი» და ეკერ მოგოონა. სიხარულით ცას ეეეეე. დაეიწყების ბინდი ეკეროდა ზარისეული სურათებს და ჩვენ ბაბალდებსა ბეეეხსენებოდა.

მაგრამ, ერთხელ ეერეზე ეწასულ ბებიას კარეები ლია დარჩენოდა და კინაღამ დედიმიმიდა ლეტრიით, მეორეეერ, ანუ ეეეეული ნავთქერა დაეტოეეებინა და კინაღამ ცოცხ, ეკეეე მოეკეოწია ეკოეეა. ალარ ახსოოდა. სიუზმე ეეამა თუ არა და ბედეეორეეე მიიჩოეეედა. ეეემოეიდოდა სამზარეულოდან. ეეეა ოოიაბში ბარეკიდებოდა და ეეეოთხაედა: ლმერთო ეკამხსენე. რა ბინდოეა ახლა ეეე?... კოეეეხ!—ეეეამხსენებდით ჩვენს. ...არა.—ეოეეხ!—არა. —ეაბა, ტეეემალე!—არც მაგრ. ჩამოეეოელიდით. რაც რამ ბაკვარნენა ოოკაბში და ბოლოს გაირკვეოდა. რომ კანელის პროტეზისთვის ეეემოსელა. რომელიც ბაკეულს ეკრეეში ეკერნენა ჩადებული. ერთი რამ არ ეკიოეედებოდა, რომ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სელ სამოცდაათისა იყო.

სკლეროზი მოხეცებულობის შედეგად.—დაასკვნეს ექიმებმა.

მმიმე მდგომარეობაში ჩავეცივდით. ბაკეულაშეკრეი სკლეროზის წინააღმდეგ: ფედაჩვენ ჩაეეეი ანა კოეეზ შაკარის ეყრიდა. მამაჩემი ეკლეკოზას ეუკეთებდა, მე მაიაკოვსკის ლექსებს ვაზეპარეკენენენ-ლი, ბოლოს ნოოეკაინსაც მიემარიეთ ბასაანალეკზრდაკეებლად. მაგრამ არაფერმა გასეჭრა.

და აი, მე, რომელიც ერთ დროს მისი ფენომენალური მეხსიერების მტერი ვიეაკი, ვდეკავარ ღილით ბებიაჩემის წინაშე ფეხშიშველა და როგორც ხატს, ვეშედარეკენი: შენი ჭირიმე, ბებია, ბოდეკენენ. სად შეინახე ჩემი ფეხსაცმელები?

ჰარი ჰარალიშვილი

ოთხეული ?

ჩემმა «ხაზეიკამ» დააკაკუნა.

— მოიჩქარნდეთ!

— გუნამ, შვილო, რომელი საათია?

—სამს თხუთმეტი წუთი აკლია, ქალბატონო ელიზაბეტ.

— ჩემი საათი გაჩერდა, შვილო,—გაჩერდება, ამა რა მოუვა? რაც ჩემი კაცი აღარაა, ყველაფერი გაჩერდა და გეეიარნა. ოდეესორრმეტი წელიწადი მემსახურა, ჩემი გუნამ, მაგრ საათი! ოი, ხალამპრე, ხალამპრე, ხალამპრეე!.. ტამბოეიდან ჩამეტანა საცოდავმა. იმისთანა იყო, იმისთანა, ყველაფერის კეის ყიდვა იეოდა.. გეეიბედე ერთხელ და, ესახლში ვარ.. მაშინ ფეკრცოეზე ეეცხეერობდით. გუშინ ფეკრცოეზზე იმისთანა ბრესტალი იყოდეზოდა, იმისთანა... ფედა რაკა შეეყარებული იყო ჩემი კაცი, საეკეთესოს შერჩეკა იეოდა, ამა!... აი, ამდალა საშიი რაში ფეიბადა ამისთანა? გუშინ მეორეხანა, ფედა, 100 მანეთი მოიმე და, შენ რომ «შპალერი» გეჭირდება, მოეტანარ. წეკიდა და წეკიდა, ეი კი მოადგამს აკანე ფეხს მისი ფერეწეკა ეოლით. საფილს გაკეეეა მაინც იეოდეს, რაც ჩვენს ახლა-მახლო მეზობლეკნა.. სელ მე დაკეკეკარ ხაპპაპუროს კამოსაცხობად. ომის წლეში, პოეს რომ ტალონებზე იძლეოდნენ, ჩვენი მაღაზიის ფირეკტორის ოყაბში მიმიწეყეს, ისეთი ხაკეკაპეერები დაეკიცეე, ისეთი, კინაღამ გაგიკდნენ. ახლა ამ ამ ეკლესიაეის ქეელი გამოუტანენია საწყალ ფედაჩისს სოფლიდან. «ფამისოლეკა, ბეებიაო» რაკა დამისოლეკენა ახალკაზრდა კაცს ქეელ?! ინდაურეს ეკეპამე. რა ეკენა, ისეა, ოღა ფოეუტეტენ ერიმანეეთ მაგ ახალეეეს!.. ფედეკა მაგი ინდაკეო ოო? ვინახაკეი ორმოეეეზა. ორმოეი ფლეი არ ლოეეკამდა იმას, ვინც მე ამ ფლეეი ჩამაგალ! რძესაკეთ ხულგენი მქონდა, ოეი კილო, მიმდგარა და ჭაღეეეთ უკამია. მეუმაია მაგკას არ უნდა და სტაკდა. ბიძაშისმა 100 ოემანი გამიმართეკ, ერთ კეერაში მოკარამეეეო. ახლა შემოუეეკა. ცოცხა მაკაალე. ეკერ არ მაკეო. მე ბაკ?.. ჩემი კაცი რომ ტეეეალში მიდოოდა ცხრაასეეერთეტში, ბაალ კეზეერონი არ გაამზეაროო, ასე მითხრა. ფდეეკ ერთი ბაზარში უნდა ეკაეიდე, ბალის მერაბაა ბინდა მოვადეეეო. აი ეიგზეკი ო

მომდინარე წლის 29 იანვარს სრულდება 100 წელი დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის დაბადებიდან.

ჩეხოვი ჩამოვიდა

ულვისებური სისწრაფით მოედო სასიხარულო ცნობა მთელს ქალაქს. ჩეხოვი ჩამოვიდა! ხალხმა იხუვლა, მქუხარე ოვაციებითა და თაიგულებით მიეგება მწერალს. ანტონ პავლოვიჩმა ვაგონის კიბიდან კმაყოფილებით გადაავლო თვალი ხალხით სავსე ბაქანს და უცებ გაოცებული მზერა განმარტოებით მიყუჟულ ნაცნობ ფიგურებზე შეაჩერა:

— როგორ, ბატონებო, თქვენ ისევ ცოცხლები ხართ?

— ანტონ პავლოვიჩ, გვიშველეთ რამე!—შეპღაღადეს მას.

— რაშია საქმე, ბატონებო? დალაგებით მიამბეთ!

ჯგუფს გამოეყო შავსათვალებიანი მოჩვენება, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება არ იყო, კალოშები და თბილი პალტო ეცვა, საყელო აეწია და ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა, იგი წინ წაფორთხდა და მიკნაკნებული ხმით დაიწყო:

— მოწყალეო ხელმწიფევ, ქვეყანა შეიცვალა, «ანტროპოს» გადაგვარდა. დიდი ხანია ჩემი სული შეშფოთებულია იმით, რაც ჩემს გარშემო სუფევს —ჩემს საკუთარ ნაჭუჭში, ჩემს ფუტლ არში აღარ მასვენებენ, ადამიანები გამომზეურდნენ—თავისუფლად ლაპარაკობენ და მსჯელობენ იმაზე, რაზედაც წინათ ფიქრსაც ვერ ვბედავდით.

— მერე, ბატონო ბელიკოვ, განა ეგ ცუდია? რა გაწუხებთ?—კაცი – ფუტლ არში ოდნავ შეყოყმანდა, მერე გამაფრთხილებლად ასწია სალოკი თითი და ჩაილუღლუღა:

— რა ვიცი, მეშინია, ვაითუ რამე მოხდეს...

— თქვენ, ივან დიმიტრიჩ, თქვენ რაღას უჩივით?

წელში ცხრად მოხრილმა ჩინოვნიკმა გაცვეთილი მუნდირის კალთები დასწურა, ბეცი თვალები აახამხამა და დაიწყო:

— მე, თქვენო ბრწყინვალებავ, დროებას, დიახ, დროებას ვუჩივი. მართალი ბრძანა ღრმად პატივცემულმა ბერძნულის მასწავლებელმა, ველარ იცნობთ ადამიანებს. გახსოვთ, რა დამემართა ცხვირის დაცემინებისათვის—მე ხომ შიშით სული დავლიე, ახლა კი, მე თვითონ ვარ მოწმე, როგორ დააცემინა ერთმა შიკრიკმა მინისტრის წინაშე, მინისტრმა არც კი აგრძნობინა შიკრიკს ეს ამბავი. მე ველოდი, რომ მისი კეთილშობილება დაუყოვნებლივ მოხსნიდა მას, ველოდი, რომ თვით შიკრიკი შიშით ჯავრს გადაჰყვებოდა და, პირიქით, მეორე დღეს შიკრიკმა ჩახველებაც კი გაბედა კაბინეტში. არა, ძალიან გათავხედდა ხალხი, ძალიან.

ანტონ პავლოვიჩმა მზერა უნტერ პრიშიბეევზე გადაიტანა.

— თქვენ რაღას იტყვით, ბატონო უნტერ პრიშიბეევ?

— მე დავუმატებ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ გაუძლოს ამდენი ხალხის ვაშას ძახილს, მიტინგებს, თქვენო ბრწყინვალებავ, თუგინდ ხატზე დავიფიცავ, მე თვითონ ვნახე და, არათუ სდევნის მათ მთავრობა, პირიქით, თვითონ იწვევს ამ მიტინგებს.

ანტონ პავლოვიჩი ღიმილს ველარ ფარავდა პრიშიბეევის აღშფოთებაზე, იგი ხედავდა, რომ მისი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რახშვრები, ბიჭო, რამდენი წელია უნივერსიტეტში სწავლობ, ველარ დაამთავრე ამდენ ხანს?

— რა მეჩქარება, დავამთავრებ და პირდაპირ პენსიაზე გავალ.

ნახ. გ. ლომაძისა

ნახატი გამოცანა

ზოგიერთი ახალგაზრდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უარს ამბობს რაიონში სამუშაოდ წახვლაზე თავისი სპეციალობის მიხედვით.

ნიანგი ბეჭდავს სურათს და მკითხველმა თვითონ აღმოაჩინოს, სად შეაფარეს თავი ინსტიტუტდამთავრებულებმა.

გმირები დიდი ხნის სამუზეუმო ექსპონატებად გამხდარიყვნენ. მწერალი კარგ ხასიათზე დადგა. ბოლოს პოლიციის ზედამხედველს, რომელიც პირველი წუთიდანვე თვალებში შეჰყურებდა იუბილარს და მის სახეზე ცდილობდა ამოეკითხა, რა ვოქვაო, მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ რაღას იტყვით, ბატონო ოჩუმელოვ, თქვენც უჩივით დროებას?

ქამელეონმა შენიშნა, როგორ გაიღიმა მწერალმა უნტეროფიცრის ჩივილზე, იფიქრა, მის კეთილშობილებას მოსწონსო და რიხით განაცხადა:

— აბა რა მოსაწონია, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენისთანა ხალხი აღარავის უნდა, სამუზეუმო სანახაობად გადავიქეცით. გთხოვთ გვიხსნათ ამ მდგომარეობიდან, აქაც იმიტომ ვართ მოსულნი, რომ...

მაგრამ ამ დროს ქამელეონმა შენიშნა, რომ მწერალმა კოპები შეიკრა და მას მკვდრის ფერი დაედო.

— იმას მოგახსენებდით, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ იმისთვის ვართ მოსულნი, რათა გთხოვოთ, დიახ, გულწრფელად შეგეკედროთ—მუზეუმიდან არ გამოგვიყვანონ.

მწერალს ჩაეცინა, თავისი გმირები რომ ისეთივე ნახა, როგორიც დატოვა. გადაავლო თვალი ახალ ადამიანებს, რომელნიც წელგამართულნი, ამაყად შესცქეროდნენ ამ უსუსურ არსებებს და კმაყოფილებით თქვა:

— მადლობა უფალს, ბატონებო, რომ ჩემს შრომას უქმად არ ჩაუვლია. უღრმესი მადლობა თქვენც, ჩემო განწირულო გმირებო, იმ დიდი სამსახურისათვის, რომელიც თქვენ ამ ხალხის წინაშე მიგიძღვით, თქვენ მართლაც მუზეუმში უნდა დარჩეთ, სხვაგან არ გედგომებათ.

შემდეგ მიუბრუნდა დამხვდურ დელეგაციას და ხალისიანი ხმით მიმართა:

— ბატონებო, დეე წარსული მუზეუმს დარჩეს და ახლა დამათვალიერებინეთ ახალი ქალაქი.

ირ. უიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ ნიანგი



პატივცემულო ნიანგო!

ჩვენი სოფელი ლამისყანა, გარდა იმისა, რომ აქედან დიდი გურამიშვილი გაიტაცეს, კიდევ იმითაა ცნობილი, რომ ამ სოფელში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მუდამ დაკეტილია, ალბათ, იმის შიშით, რომ წიგნები არვინ გაიტაცოს, მაგრამ, რაც შიგ არ არის, რას მოიტაცებენ. ბიბლიოთეკის გამგედ ლამისყანის სოფსაბჭოს თავმჯდომარის მეუღლე თამარ პავლიაშვილი «მუშაობს».

თამარ პავლიაშვილს ოჯახი აქვს და ბავშვები ჰყავს მოსავლელი, მაგრამ ამას საჯაროდ ვერ ამხელს, რადგან მორცხვია. რამდენჯერმე სცადა კიდევაც განცხადების დაწერა—გამანთავისუფლეთ, ბავშვები მყავს მოსავლელიო, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა და თვით სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვერ ელევიან,—შენისთანა მუშაკს მეორეს ვერ ვიშოვითო.

ძვირფასო ნიანგო, გთხოვ დაეხმარო თამარ პავლიაშვილს, შეუსრულო დიდი ხნის ოცნება და გაათავისუფლო ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობისაგან.

ვ. ლამისყანელი

ამხანაგო ნიანგო!

ამბობენ, სოფელ ქობულეთის მასწავლებელთა სახლი რომ ნახოს კაცმა, სიცილით მოკვდებაო. ეს არის საცხოვრებელი სახლის ახალი მოდელი —დამპალ ბოძებზე მდგარი უჭერო და უიატაკო, ნიავზე საქანელასავით მოქანავე ხუხულა. ამ სახლის პროექტის შემდგენელთა მიზანია ჩაატარონ ექსპერიმენტი: რამდენ ხანს გაძლებს სახლი ასეთ მდგომარეობაში, რამდენ ხანს ეყოფათ ნერვები შიგ მცხოვრებ მასწავლებლებს და თუ გადარჩება რომელიმე მათგანი სახლის დანგრევის შემთხვევაში.

ამ საინტერესო ექსპერიმენტში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფელ ქობულეთის სასოფლო საბჭო და გაზეთ «ქობულეთის კოლმეურნის» რედაქცია.

ძვირფასო ნიანგო! ეს სახლი რომ ნახო, შენც სიცილით მოკვდები, მაგრამ ძალიან გთხოვთ, რამე გვიშველო, ვიდრე სახლი თავზე დაგვენგრევა და სასაცილოდ მოვკვდებით.

ამ სახლის ბინადარნი

ძვირფასო ნიანგო!

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში კოლმეურნეობამ ააშენა ახალი ტიპის აბანო. საქმე იმაშია, რომ აბანოს სახურავი არა აქვს, რაც საშუალებას აძლევს სოფლის მცხოვრებლებს ღია ცის ქვეშ მიიღონ ბუნებრივი შხაპები და აბაზანები. აბანო განსაკუთრებული გაცხოველებით მუშაობს წვიმის დროს. ეს ორმაგ ეკონომიას აძლევს სოფელს, ჯერ ერთი იზოგება სახურავის საშენი მასალა, მეორე კი, არ არის საჭირო წყალგაყვანილობა. წყალს პირდაპირ ღმერთი იძლევა.

მიუხედავად ამისა, რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტს ვერ წარმოუდგენია აბანო სახურავის გარეშე. ამიტომ მან გააკეთა ძალიან საინტერესო ფოტოკომბინაცია. აიღო ხილის დამამზადებელი პუნქტის სახურავი, გადაიღო ფოტოსურათი, მიამონტაჟა აბანოს ფოტოსურათს, მოათავსა რაიონულ გაზეთში და მიიღო მშვენიერი სახურავიანი აბანო. საჭიროა სახლის გადახურვის ეს მეთოდი ფართოდ დაინერგოს ჩვენს სოფლებში, იგი საგრძნობლად გაზრდის კომუნალური მშენებლობის ტემპებს.

აფენელი



ძმაო ნიანგო!

მდინარე ბორიმელაზე გასადები ხიდი, რომლის მშენებლობა ხუთი წლის წინათ დაიწყო და ჯერ არ დამთავრებულა, სამ სასოფლო საბჭოს: კაცხს, ვარძიას და წყალაფორეთს გააერთიანებს, წელში გამართავს და პირობებს გაუუმჯობესებს. მაშინ არც ფოსტა დაიგვიანებს, არც მასწავლებელ კონსტანტინე მახარაძეს დასჭირდება წყალში გადავარდნილი ბავშვის გადარჩენა, არც კამეჩებს მდინარეში გაჩხერილი მანქანების ამოთრევა, ესე იგი ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ ჩვენ აქაურ მცხოვრებლებს არაფერი არ გვინდა, ოღონდ ხიდის მშენებლობის მუშაკები კარგად იყვნენ და ჩვენ დიდი რუსთაველის გენიალური სტრიქონებითაც იოლად გავალთ:

«ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად».

მაშინ არც ხიდი დაგვჭირდება, არც საჩივრების წერა და არც ლოდინი. ასე რომ, ნუღარ იწუხებენ თავს ხიდის მშენებლები.

გოგია რეთელი

საყვარელო ნიანგო!

1958 წლის მარტის ოცდაორს წვიმდა, მე კი, წარმოიდგინე, წვიმას არ დავუსველებივარ, რადგან ის დღე ჩემთვის მზიანი იყო—ახალ ბინაში შევსახლდი ბარნოვის ქუჩაზე № 116-ში. მაგრამ რა ვიცოდი, რომ ჩემს თავზე უარესი საავდრო ღრუბელი იკრიფებოდა. ჯერ იყო და, შესახლებისას, სამშენებლო ნაგავმა დაგვახრჩო, მტვრით გაგვავსო და გათხუპნულნი აბაზანებს ვეცით, შევუნთეთ ცეცხლი, მაგრამ, ვაი ახალ უბედურებას! ახლა კვამლმა და ჭვარტლმა «გაგვალამაზა». თურმე მშენებლებს «გულმავიწყობით» მესამე და მეოთხე სართულებს შორის კვამლსადენი რკინა-ბეტონის უზარმაზარი ქვით დაუხურავთ. ვეცით ქვას, მეღუმელეც მოვიწვიეთ, მაგრამ, როგორც ვატყობთ, მთავართბილმშენის მე-2 სამშენებლო სამმართველოს უფროსის ბესო ჩიგოგიძის დახმარების გარეშე ვერც კვამლსადენს მოვუხერხებთ რაიმეს და ვერც იმ საყრდენ კედელს, ეზოში რომ უნდა აეშენებინათ. ახლა იმ კედლის უქონლობის გამო ჩვენი პაწაწკინტელა ეზო ჩვენს ზევით მდებარე მეორე ეზოს «ხელს ართმევს», ზევითა ეზო თანდათან დაბლა ჩამოდის, მალე ჩვენსას შეუერთდება და მეზობლებიც მოგვემატება. ამ შეერთების ტემპი განსაკუთრებით წვიმის დროს ჩქარდება, მაგრამ ჭირი ის არის, რომ ზევიდან ჩამოსული ლაფი სარდაფებს ავსებს და საქვაბე განყოფილებას წალეკვით ემუქრება (თუ პირველ რიგში ჩვენ



არ წაგვლეკა). ეს საქვაბე ერთი დაღრეჯილი, ნაგვით სავსე დაუმთავრებელი ოთახია, სადაც ადამიანს არ შეესვლება. შენ კი კარგად იცი, რომ ჯერჯერობით ქვაბს ცეცხლს ადამიანი უნთებს.

ამიტომ ვიფიქრეთ, ჩვენ თვითონ შეგვეწინა ცეცხლი მთავართბილმშენის მმართველის გაბრიელ ქართველიშვილისათვის და საჩივრების კორიანტელი დავაყენეთ, მაგრამ იქ ყური არავინ გაიბერტყა.

ახლა, საყვარელო ნიანგო, იმას გთხოვთ, როგორმე დაგვეხმარო და ჩვენს დიდ სახლში მშენებელთა მიზეზით დამდგარი მძიმე ჰაერი გაგვაწმენდინო, თორემ მათივე მიზეზით ჩვენს ბინებში საკენტილაციო ფანჯრებიც ნაგვითაა ამოვსებული.

ახალბინიანი

რედაქტორი—ნიკო შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49.

გამომც. № 2. ხელმოწ. დასაბ. 14/I-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობითი ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1657 უფ. 00511. ტირ. 40.000

ეროვნული ბიბლიოთეკა





33 60
23/1

ყურადღება!

ყურადღება! ამხანაგო ექსკურსანტებო, გაიხედეთ მარცხნივ. თქვენ ხედავთ სვეტებიან შენობას № 1. ეს არ არის მსოფლიოში ცნობილი რომის კოლიზეი, როკოკოსა და ბაროკოს არქიტექტურული სტილის ბოწყინვალე ნიმუში. ეს არის ოქტომბრის რაიონში მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხრა თვის წინათ ფასადჩამოცლილი სახლი № 25, რომლის მეტამორფოზის საფუძველზე არქიტექტორებმა მიიღეს ახალი თანამედროვე სტილის შენობა «ხო, ხო, ხო?!»

ახლა გაიხედეთ მარჯვნივ, ფოტო № 2. დიდი ქართველი წინაპრის ჩახრუხაძის ქ. № 16, კიროვის რაიონი. ნაგავი, რომელსაც თქვენ ხედავთ სახლის წინ, არ არის ერთი და ორი დღის შრომის შედეგი. ეს არის ოთხთვიანი რემონტისა და რეკონსტრორის უზადო ზრუნვის ნაყოფი. ვუსურვოთ ამხანაგებს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა.

ყურადღება მიაქციეთ № 3 ფოტოს. ეს არ არის კადრი რომელიმე დეტექტური კინოფილმიდან, სადაც ფეხაკრეფით მომავალმა ბანდიტმა ზურგში უნდა ჩასცეს გაღუნული ბებუთი წინ მიმავალ მანდილოსანს. ეს არის არაყიშვილის ქუჩა თითქმის თავიდან ბოლომდე. ახალგაზრდებმა ქუჩაში ხელოვნურად მოწყობილ «ბარაკე-ტლაბოში» გაისწორეს ქოჩრები, წამწამები და ახლა არხეინად მიაბოტებენ ტალახში.

თქვენს წინ, ფოტო № 4-ზე აღბეჭდილია ბარნოვის ქუჩა. საქართველო მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილია უამრავი უბადლო კურორტით. მაგრამ ეს ადგილი თავისი ტალახითა და სამკურნალო მინარევების პროცენტით ათასჯერ უსწრებს ცნობილ ახტალას. მართალია, ამ ტალახის ზღვას ჯერ არ ატყვია კურორტოლოგიის ხელი, მაგრამ ხალხი მას «ველური» სახითაც იყენებს. თბილისის ათასობით მცხოვრები იღებს ყოველდღიურად აქ ტალახის თბილ და ცივ აბაზანებს.

გაიხედეთ მარცხნივ. ფოტო № 5. არანაკლები მნიშვნელობის ადგილი თავისი ტალახითა და ნაგვით, ჯავახიშვილის ქუჩა. ოღონდ აქ ტალახი და ნაგავი გამოყოფს მომწამლავ გაზებს და აირწინაღის გარეშე გავლა აკრძალულია.

ამით ვამთავრებთ, ამხანაგებო, ექსკურსიას. მართალია, ფეხით ძნელია თბილისის ამ ღირსშესანიშნაობათა შემოვლა, მაგრამ დღეიდან ამ მარშრუტით იმუშავებს ვერტმფრენი დილის 6 საათიდან ღამის პირველ საათამდე.

ნახვამდის, ამხანაგებო!

ექსკურსიათმძღოლი ნიანბი